სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

ბრძანება № 71

2017 წლის 14 ივნისი

ქ. თბილისი

**2016 წლის თურქეთის სამეცნიერო და ტექნოლოგიური კვლევის საბჭოსა (TUBITAK) და სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსის შედეგად გამარჯვებული პროექტის დამტკიცების შესახებ**

„თურქეთის სამეცნიერო და ტექნოლოგიური კვლევის საბჭოსა და (TUBITAK) და სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსის დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 9 ივნისის N55/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქის და მე-7 მუხლის „ე" ქვეპუნქტის ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ე" ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საერთაშორისო ურთიერთობებისა და ფონდების მოზიდვის სამსახურის უფროსის მარიამ ქებურიას სამსახურებრივი ბარათის (N630959, 09.06.2017წ.) შესაბამისად,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. დამტკიცდეს 2016 წლის თურქეთის სამეცნიერო და ტექნოლოგიური კვლევის საბჭოსა (TUBITAK) და სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსის შედეგად გამარჯვებული პროექტი:

**ა) ,,გვარ დარევსკიას ხვლიკების ბადისებს სახეობათა შესწავლა კავკასიასა და ანატოლიაში". პროექტის შიფრი TUB-2016-012.**

2. დაევალოს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) იურიდიული და ადმინისტრაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტს ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული პროექტის ავტორებთან საგრანტო

ხელშეკრულების გაფორმება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არაუგვიანეს 2017 წლის 23 ივნისისა;

3. საგრანტო ხელშეკრულების გასაფორმებლად ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული პროექტის მონაწილე პირებმა არაუგვიანეს 2017 წლის 19 ივნისის 17:00 საათამდე ფონდის კანცელარიაში უნდა წარმოადგინონ ანგარიშის ნომერი გაცემული ბანკის და ცნობა იმის შესახებ, რომ აღნიშნულ ანგარიშზე არ დაირიცხება სარგებელი, ასევე ძირითადი პერსონალის პირადობის მოწმობების ასლები და კორექტირებული ბიუჯეტი.
4. დაევალოს ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ამ ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე.
5. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

**გიორგი ხიშტოვანი**

**გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი**